

K 9342
N 2

გლახთა მოქრობის ისტორიის ერთი ფურცელი ქველ სომხეთში

ივ. ჯაფახიშვილისა.

ამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ სომხეთის სოციალური წეს-წყობილების შესახებ როგორც უცხო, ისევე და განსაკუთრებით სომხურს განათლებულ წრეებში და მკვლევართა შორის უცილობელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა დებულება, რომ სომხეთა ერს წოდებრივობა და სოციალური უსწორმასწორობა არ ჰქონია და მთელი ხალხი მუდამ თავისუფალი და ყველანი თანასწორუფლებიანი იყვნენ. პროფ. ნ. მარამა, ძველი სომხური წყაროებისა და არქეოლოგიური ცნობების საშუალებით, ძირიანად შეარყია ეს გულუბრყვილო აზრი. ამ ფამად უკვე ყველამ იცის, რომ წოდებრივობა საშუალო საუკუნეების სომხეთისათვისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ სომხეთის თვით სოციალური შენებულებისა და ურთიერთობის შესასწავლად ამის შემდგომაც ძალიან ცოტაა გაკეთებული. ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფიის „Государственный строй древней Грузии и древней Армении“, რომელიც დასაწყის ხანას ეხება, და პროფ. ნ. ადონციის წიგნის გარდა „Арменія въ эпоху Юстиніана“, რომელიც მე-VI ს. იშვიათად სცილდება, სომხეთა საზოგადოებრივი წესწყობილებისა და ურთიერთშორისი დამოკიდებულების შესასწავლად თითქმის არაფერი დაბეჭდილა. მართალია, 1906 წ. Dr. Josef Karst-მა გამოაქვეყნა „Grundriss der Geschichte des armenischen Rechtes“ (იხ. Zeitschrift für vergleichende Rechtswissenschaft, XIX, B. II—III Heft, S. 313—411 და XX. B. I. Heft, S. 11—112), ხოლო პროფ. ს. იელიაზაროვმა 1919 წ. Исследования по истории армянскаго права публичнаго и частнаго (Вып. I, Киевъ) ანისისა და შირაკის წარწერათა მიხედვით. მაგრამ გერმანელი მეცნიერი სომხეთის სახელმწიფო წესწყობილებას მხოლოდ გაკვრით და ორიოდვე გვერდზე ეხება, ისე, რომ ახალი იქ არაფერია; იელიაზაროვ-

K 9342

მა-კი ძველი სომხური ენისა და სათანადო მწერლობის უცოდინარობის წყალობით და ისტორიული პერსპექტივის უქონლობისა და დაუცველობის გამო: განზრახული საქმის ჯეროვანად განხორციელება ვერ შესძლო. ამგვარად სომხეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების შესწავლა ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში თითქმის სრულებით არ დაწინაურებულა. ამის ერთ-ერთ მიზეზად, როგორც საკითხის სირთულე, ისევე ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ სომეხთა ისტორიკოსების თხზულებებში განსაკუთრებით პოლიტიკური ამბებისა და მღვდელმთავართა და სამონასტრო ცხოვრების შესახებ მოიპოვება ცნობები, შინაური ყოფაცხოვრება-კი იქ იშვიათად არის ხოლმე დახასიათებული. თუმცა წარწერებში სომხეთის წესწყობილების შესასწავლად ბევრი ძვირფასი მასალა არის გაბნეული, მაგრამ მარტო წარწერებით მკვლევარი წარსული ცხოვრების სურათს ვერ აღადგენს, არამედ მხოლოდ სხვა წყაროებიდან ამოკრებილ ცნობებთან ერთად უნდა იყოს ყოველივე საკითხი გაშუქებული. საქმის სირთულის გამო უკეთესია საკითხების მონოგრაფიული შესწავლა სომხეთის სახელმწიფო წესწყობილების საერთო ხასიათის ისტორიას წინ უძღოდეს ხოლმე.

მომავალში, როდესაც სომხეთის ისტორია შესაფერისი საფუძვლიანობითა და სიღრმით შესწავლილი იქმნება, მაშინ ყველასთვის ცხადი გახდება, რომ წოდებრივობის გარდა სომხეთში სოციალური ბრძოლაც იყო გაჩაღებული ხშირად იმდენად ძლიერი, რომ ზოგჯერ საბედისწეროც-კი გამხდარა. გამწვავებული ურთიერთობის დამოკადებულებას მოპირდაპირე ჯგუფები და წრეები უკიდურესობამდის მიუყვანიათ და ბრძოლა კატასტროფათ დამთავრებულა. სომხეთის სოციალური ისტორიის ყველაზე უფრო ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულებით შეუსწავლელ საკითხად გლენთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა და მებატონე-ყმათა შორის არსებული დამოკიდებულება უნდა ჩაითვალოს, და ამ ჩემი მონოგრაფიის მიხანს სწორედ ამ ნაკლის შევსება შეადგენს. იგი სწორედ ამ ოცი წლის წინათ იყო დაწერილი, მაგრამ აქამდის გამოუქვეყნებელი დამრჩა, რათგან ჩემ მიერ დამზადებულა „სომხეთის სახელმწიფო წესწყობილების“ მეორე წიგნის ერთ-ერთ თავად მქონდა განზრახული. მაგრამ საკითხი თავისდა-... და დამოუკიდებლავაც

იმდენად საინტერესო და საყურადღებოა, რომ მისი ეხლავე, სანამ განზრახული დიდა გამოკვლევა დაიბეჭდებოდეს, ცალკე გამოქვეყნება ვგონებ ურიგო არ უნდა იყოს.

გლებთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცლის აღდგენა სომხეთში დიდი ხანია შესაძლებელი იყო და ეს საკითხი აქამდის თუ შესწავლილი არ ყოფილა, იმიტომ, რომ ჯერ ერთი ამ გვარა საკითხების სომხეთში შესწავლის შესაძლებლობაც-კი არავის ფიქრად არ მოსვლია, მეორეც იმიტომ, რომ სტეფანოს ორბელიანის ისტორიისათვის არავის მიუქცევია სათანადო ყურადღება. სომეხ ისტორიკოსთა შორის სტ. ორბელიანი არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანარჩენ სომეხ ისტორიკოსთაგან როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ისევე მოთხრობის შინაარსით თვალსაჩინოდ განსხვავდება. არც ერთს მათგანს იმის მეთადი ცნობებიც არა აქვს, რაც სტ. ორბელიანმა სომხეთის შინაური ყოფაცხოვრებისა და წესწყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებაში. საქართველოს ისტორიაში ცნობილ ორბელთა საგვარეულოს იმ შტოს ერთი ჩამომავალთაგანი, რომელიც გიორგი მე-III-ისაგან ექსორიაქმნის შემდგომ სომხეთში შეიხიზნა და გასომხდა, სტ. ორბელიანი, მე-XIII ს. დამლევს სიენიეთის ეპისკოპოზად ყოფნის დროს, თავისი სამწყსოსა და თემის ისტორიის აღწერას შეუდგა. სომხური საისტორიო წყაროების განხილვამ მალე დაარწმუნა, რომ იქ სიენიეთისა და მის სამწყსოს შესახებ ძალიან ცოტა ცნობები მოიპოვებოდა. რათგან მას მხოლოდ ამ თავისი თემის ისტორიის შედგენა ჰსურდა, წერილობითი მატრიანისებური წყაროებს უქონლობას გამო ამ განზრახული საქმის განხორციელებისათვის უნდა თავი დაენებებინა და სხვაგვარი წყაროები მოეძებნა. სტ. ორბელიანმა საბედნიეროდ სწორედ ეს მეორე გზა ირჩია. მასალების ძებნის დროს მას მეტად თავისებური და საგულისხმო აზრი მოსვლია ისტორიული აზვების მსვლელობის აღსადგენად ეკლესიებისა და ტაძრების კედლებზე შენახული წარწერებითა და მონასტრებში დაცული საბუთებით ესარგებლა. მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენთვის საყურადღებო და ძვირფასი ის არის, რომ სტ. ორბელიანმა ამ წარწერა-სიგლების მიხედვით მარტო საისტორიო მოთხრობა-კი არ შეადგინა, არამედ თავის მკათხველს სრული საშუალება მისცა მის მიერ აღდგენილი სურათის სინამდვილე

გამოერკვია. თავის სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად მან ბევრ-გან თავისი წყაროების, წარწერებისა თუ საბუთების სრული ტექსტიც დაურთო. რასაკვირველია, სტ. ორბელიანს ყველა ის წარწერები და საბუთები არა აქვს შეტანილი, რომელიც ნანახი და წაკითხული ჰქონია. ზოგისათვის მას ყურადღება არ მიუქცევია, რათგან შიგ თავისი ისტორიისათვის გამოსადეგი ცნობები ვერ უპოვია, ზოგი-კი ისე დაზიანებული ყოფილა, რომ უკვე ძნელი გასარჩევი გამხდარა. მაგრამ ისიც, რაც სტ. ორბელიანმა წარწერებისა თუ სიგელების სახით თავის თხზულებაში შეიტანა, იმდენად საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რომ მისი ღვაწლი სომხეთის ისტორიის წინაშე მარად დაუფიწყარი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ არც ერთს ამ ხანის სიგელთაგანს ჩვენამდის არ მოუღწევია, და სომხური ამდროინდელი დიპლომატიკის შესასწავლად ერთად ერთ წყაროდ სტ. ორბელიანის ნაწარმოებია. მისი ცნობები განსაკუთრებით სომხეთის საზოგადოებრივი და შინაური ყოფაცხოვრების აღსადგენად არას ძვირფასი.

სტ. ორბელიანის მიერ მოყვანილი საბუთებითგანა ჩანს, რომ სივნიეთის ეპისკოპოზთა მოღვაწეობა უმთავრესად ეკონომიური და სამეურნეო ხასიათისა ყოფილა. ამ მხრივ გასაოცარია, რომ მათი გონებრივი და სულიერი მოღვაწეობის შესახებ შედარებით ძალიან ცოტა ცნობები მოიპოვება. ეტყობა, სივნიეთის ეპისკოპოზები უფრო თავიანთი სამფლობელოების გაფართოებასა და მოწესრიგებაზე ზრუნავდნენ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ უძრავი ქონება ირგვლივ შემოფარგლული ყოფილიყო და სხვა მესაკუთრეთა მიწები მათ მიწებთან ერთად არ ყოფილიყვნენ. ამისთვის ისინი გაცვლილობისა თუ ნასყიდობის საშუალებით ხარვეზიანობის მოსპობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ უძრავი ქონების შენარჩუნებაცა და მთლიანად უხარვეზოდ შემოფარგვლა მაშინდელ დროში ისეთი ადვილი საქმე არ ყოფილა სომხეთში. უძრავი ქონების ეკლესია-მონასტრებისათვის შემწირველთა შთამომავლობა თანდათანობით ისე მრავლდებოდა, რომ საგვარეულო მამული უკვე მათ აღარ ჰყოფნიდათ და მიწის სიმცირე ხშირად მეტად საგრძნობი ხდებოდა. ასეთ პირობებში ისინი ყოველ მარჯვე შემთხვევით და არეულობით სარგებლობდნენ, რომ მათ წინაპრისაგან შეწირული მამულები უკან დაებრუნებინათ და ისევ ისე დაჰპატრონებოდნენ. საეკლესიო

მამულების მიმტაცებლობას სიენიეთის ეპისკოპოზები, რასაკვირველია, გულხელდაკრებილნი არ დახვდებოდენ და ყოველნაირად წინააღმდეგობას უწევდენ. ამ ნიადაგზე სიენიეთის ეპისკოპოზებსა და აზნაურთა შორის არა ერთხელ უსიამოვნებაც ჩამოვარდნილა და სასტიკი ბრძოლაც გაჩაღებულა.

მაგრამ სტ. ორბელიანი ის თხზულებაში შენახული სიგელებითგანა ჩანს, რომ სიენიეთის ეპისკოპოზებს ქონებრივ-ეკონომიურ ნიადაგზე მარტო მოწინავე წოდების წარმომადგენლებთან არ უხდებოდათ ბრძოლა. მათმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, მათმა მედგარმა მისწრაფებამ სიენიეთის საეპისკოპოზოს უძრავი ქონების ხარვეზიანობა-შემოთარგლისათვის და ნაქრების ხარვეზიანობის მოსასპობად მდაბიო ხალხი, გლებკაცობაც, აუშხედრა. ზოგან ამ გარემოებამ ეპისკოპოზსა და სოფლელებს შორის მწყემსმთავრულ-სამწყსური დამოკიდებულების მაგიერ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ მტრობა და დაუნდობელი ბრძოლა წარმოშვა.

უთანხმოება და მტრობა ეპისკოპოზსა და გლებებს შორის ატეხილი იყო ხოლმე მიწების გამო, მამულის გულისათვის. ზოგჯერ გაუგებრობა და უსიამოვნება აღმოცენებული იყო საეპისკოპოზო ეკლესიისათვის შეწირული მიწების გამო განსაკუთრებით, როდესაც შემწირველთა მფლობელობის უფლება ამ მიწების შესახებ სათუო და სათუმცაო იყო. ხშირად სხვილი მემამულეები ეკლესია-მონასტრებს დიდ მიწებს სწირავდენ ხოლმე მოსახლეებითურთ და დაბა-სოფლებიანად. რათგან ჩვეულებრივ ამგვარ შემთხვევებში შეწირულ სოფელსა. თუ ცალკე მოსახლე ყმა-გლებკაცს შეუვალობას ანიჭებდენ და სახელმწიფო გადასახადებისაგან ათავისუფლებდენ ხოლმე, მდაბიო ხალხი, განსაკუთრებით კერძო მემამულეთა ყმები, საეკლესიო ყმებად ქცევას არამცთუ არ გაურბოდენ, პირიქით მოხარულიც იყვნენ ხოლმე. მათი ქონებრივი მდგომარეობა, ვითარცა შეუვალ ყმებისა, რასაკვირველია, დანარჩენ ყმებისას გაცილებით სჯობდა.

მაგრამ ყმობისდა მიუხედავად, მიწა გლებების საკუთრებად ითვლებოდა. სიენიეთის ეპისკოპოზებმა რომ თავიანთ საეპისკოპოზო საყდრის გარშემო მდებარე სოფლები მეზობელ მემამულეთაგან შეწირულებად მიიღეს, თავიანთ საჯდომის საზღვრების

გაფართოებასა და გაწმენდას შეუდგენ. მათ, როგორც ეტყო-
ბა, სურდათ, რომ საყდრის მახლობლად მოსახლეობა არ ყოფილი-
ყო, და ამიტომ მეზობელ სოფლების მკვიდრთ ძალას ატანდენ თავიან-
თი ადგილი მიეტოვებინათ და სხვაგან გადასახლებულიყვნენ. რასაკვირ-
ველია, ეს სოფლებებს არაფრად ექაშნიკებოდათ. გლეხებს აყრა (*հա-
նել 'ի սեղույն*, ემინის გამ., გვ. 168) სრულებით არ სურდათ და ების-
კობოზებს წინააღმდეგობას უწევდენ. ამ ნიადაგზე ორთავე მხრით დი-
დი და დაუშრეტელი მტრობა აღმოცენდა.

ამგვარად სივნიეთის საეპისკოპოზო საყდრის გარშემო მდებარე
სოფლები ცური ციხითურთ (*Յուրայ բերդ*), ტამალეკი (*Ճամա-
լէկ*) და აველადაშტის ციხე და სოფელი (*Բերդ ... յակն քարին, որ
Աւելադաշտն կոչեն*) სხვა-და-სხვა პირობება შესწირეს (*տուրա սրարին*)
ტათევის საეპისკოპოზო საყდარს (*Պատմ.* ემინის გამ. 167 — 168). თვით შე-
წირულობის წიგნები სტ. ორბელიანს მოყვანილი არა აქვს და და-
ნამდვილებით იმის თქმა, თუ რა პირობით ჰქონდათ შემწირველებს მო-
ნასტრისათვის ეს სოფლები და მამულები გადაცემული, ძნელია. თვით
ის სიგელები უკვე მე-XIII ს. დამლევს, როდესაც სივნიეთის ისტორიკოსი
თავის შრომასა სწერდა, ისე დაძველებული და დაზიანებული ყოფილა,
რომ იქ ცოტალა იკითხებოდა — ისიც დიდს გაჭირვებით (*հնայեալ և
ծայրատեսալ, զոր 'ի բազմայն գասկան կարացաք ընթեանուլ*, ემინ.
167), მაგრამ თავისდა თავად იგულისხმება, რომ აქაც ჩვეულებრივი სამო-
ნასტრო ყვებად შეწირვა უნდა ყოფილიყო და სხვა არა რა. ამ გარე-
მოებას ისიც ადასტურებს, რომ სტ. ორბელიანს ამ შეწირულობის
განსაკუთრებული პირობების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი ზემოაზ-
მოთვლილი სოფლების მცხოვრებნი თავიანთი მიწაწყლის ძველი მამუ-
ლის პატრონნი, მესაკუთრენი და მკვიდრნი იყვნენ (*հին հայրենաս-
տէրք էին, Պատմ.* ემინ. 168).

სივნიეთის ეპისკოპოზებს ამ სოფლებების მამულისა და მიწა-
წყლის მითვისება და დასაკუთრება სურდათ (*սեպհականել*) სრულიად.
ამისთვის, რასაკვირველია, მათი აყრა და გადასახლება იყო საჭირო და ამ
სოფლებლთა თავიანთ მამაპაპეულთაგან აყრას (*հանել 'ի սեղույն*) ისინი
შესდგომიან კიდევ, მაგრამ ვერასვხით ვერ მოუხერხებიათ (*զբնակիչս
բերդին Յուրայ ոչ կարացին հանել... որպէս և ոչ զՃամալէկն...*

*ღარაყვინ ასაქრასქანსე, ... ძქ ჩხრე ... კაქინ ჟარქინ, ირ მასქა-
ჯაჯანს ლიჯნს, ... ჟაქინ სს იჯ ზაკაბხექინ, შაათ. ემინ. 168).*

თავის მეზობელ ყმა-სოფელელთა ამ გვარს მდგარს წინააღმდეგობას სივნიეთის ეპისკოპოზი ჰოჰანესი და ტათევის ბერები სრულებით არ შეუფიქრებიათ. პირიქით, ბრძოლა წინანდებურად გრძელდებოდა და დათმობა და შეთანხმება ჯრთი ერთშორის მოწინააღმდეგეებს აზრადაც არ მოსდიოდათ. ხალხი გაბორბლებული იყო. თავის ფუძითგან აყრა და სამშობლოს მიტოვება მას ბოლმითა და შურისძიების წყურვილით უფსებდა გულს. მოთმინებითგან გამოსულ სოფელ ცურის მცხოვრებნი, როგორც ეტყობა, წინასწარი შეზრახებისა და შეთქმულების შემდგომ ერთ ღამეს მოულოდნელად მონასტერს თავს დასხმიან. ზოგი ბერთაგანი მოუკლავთ, მონასტერი-კი სულ მთლად გაუცარცვიათ. ამის შესახებ ჩვენამდის ოფიციალურმა ცნობამაც-კი მოაღწია სიგელის სახით, რომელიც თვით ჰოჰანეს ეპისკოპოზის ხელით ყოფილა ნაწერი 915 წ. ქ. შ. აი რას გვიამბობს იგი ამ მრისხანე თავდასხმის შესახებ:

*«სზაა ძხე ქთანე თაყნააქქ 'ქ
ჯარ ს კანსათილად ხლიდაქაყენს,
ირ რნაქხაქ ჭქნ 'ქ შიღრაქხრე
ანთონ ჟარქინ, ირჟ კანსქარბა-
ქქ კაროცეხაქ 'ქ ქხრეკე კიფნა-
ქიქიქ ხეღარენს 'ქ ჟქჯერქ' ლი-
ღიყათხექინ ჟეარქსა ამნსაქენ, ს
ღიძმანსა აყანსქინ 'ქ ბხრიენს»
(შაათ. ემინ. 181, ლუკასიანის
გვ. 248).*

„მოიწია ჩვენზე ტანჯვა-მწუხარება ბოროტ და უღმერთო ავაზაკთაგან, რომელთაც ცურაბერდად წოდებულ კლდეზე იყვნენ დაშენებულნი და რომელნიც უეცრად ღამით სულიერ ძმათა წინააღმდეგ ამხედრებულთ წარტყვენეს მთელი შენობა და ზოგი მოხუცებულთაგანი მოკლეს კიდევ“.

სტ. ორბელიანის სიტყვით ცურბერდელებს თავდასხმის შემდგომ ვითომც მკვრებელობაც უნდა ჩაედინოთ და ეკლესიითგან ვერცხლის სამირონეთი გატაცებული მირონი ქვაზე გადაესხათ (*არბაქქ სააქიოიქ ჟმხიონს... ქაქქხექინ რნე ჟარენ, იქვე, ემინ. 180—181, ლუკ. 247*). მაგრამ ამის შესახებ ჰოჰანესის სიგელში არაფერია ნათქვამი და ალბათ ზეპირგადმოცემით მერმინდელ შეთხზულს გარდმოცემას უნდა წარმოადგენდეს თავდამცემ გლებთა სრული უღვთოებისა და ავაზაკობის დასამტკიცებლად.

იმავე ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ ცურბერდელნი დაჟინებოთ მოითხოვდენ ტაფეველ ბერებისაგან მათთვის სინიეთის ეპისკოპოზი ეჩვენებინათ, რათგან ეპისკოპოზის მოკვლაც-კი სწადდათო (*სინიეტის ეპისკოპოსს, ეს სკანდინავია, იქვე*). თუმცა არც ეს გარემოება არის შემოდასახელებულ 915 წ. სიგელში მოხსენებული, მაგრამ მაინც ეს ცნობა მართალი უნდა იყოს. როგორც ეტყობა, მღვდელმთავარი შემთხვევით იმ ღამეს შინ არ ყოფილა, ალბათ სადმე იქნებოდა წასული. თავდამცველთ უძებნიათ ეპისკოპოზი, მაგრამ ვერსად უპოვიათ. მეორე დღეს რომ დაბრუნებულა, ეპისკოპოზს ცურბერდელთაგან ჩადენილი ამბავი შეუტყვია და გაცარცულ-აოხრებული მონასტერი უნახავს, ეკლესიაში დასვენებული სასწაულმოქმედად ცნობილი ჯვარი აუღია, და სხვაგან გაქცეულა. გაშმაგებული გლეხების მრისხანებისაგან გადარჩენილ ბერებსაც თავიანთ მწყემსმთავრის ასეთი მაგალითის შემდგომ მონასტერში დარჩენა ველარ გაუბედნიათ და აქეთ-იქით გაფანტულან. მთელი ეს გარემოება თვით ჰოპანეს ეპისკოპოზსაც აქვს აღნიშნული¹.

სინიეთის ეპისკოპოზისა მთელი მოქმედება მოწმობს, რომ მას უნდა სცოდნოდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა მის სიცოცხლეს ტაფევის მონასტერში რომ დარჩენილიყო. ამიტომ ცხადი ხდება, რომ მონასტერზე თავდასხმის დროს ცურბერდელთ მართლაც თავიანთი გამაუბედურებელი ეპისკოპოზის მოკვლა სდომნიათ. მონაზონთაგანთაც ალბათ ის პირნი უნდა ყოფილიყვნენ დახოცილნი, რომელნიც ამ გლეხებს თავიანთ აყრისა და გადასახლების მოთავეებად მიაჩნდათ.

სტ. ორბელიანს, რასაკვირველია, იმავე მერმინდელი ზეპირგამოცემის მიხედვით ნათქვამი აქვს, რომ გაქცევის წინ ჰოპანეს ეპისკოპოზმა ცურბერდელნი საშინლად დასწყევლა და შეაჩვენა, და ვითომც ამისგამო ღვთის რისხვა სწეოდეს ამ სოფელს და საზარელი მიწისძვრისაგან დედამიწა გამსკდარიყოს და შენობები ხალხიანად შთაენთქას (იქვე, ემინ. 181, ლუკ. 247). განრისხებული მღვდელმთავარი

¹) «*ჩიხ მხრ თხახალ ღაქაქიხი თღქათა თახალ ვაღღრ ქაღან ჩაქათა-კან ხღარ ეაკლ აქაქარ ს ღვინაღღრეა ამქნ ვან ს ვიქ ხღანა* (იქვე, ემინ. 181, ლუკ. 248).

რომ დაუწყველელი არ წავიდოდა, ეს აღვილი წარმოსადგენელია, მაგრამ ცნობა მიწისძვრისაგან ცურბერდის დაზარალებისა და დასჯის შესახებ ტყუილი უნდა იყოს, რათგან ამაზე თვით ჰოჰანესიცი-კი თავის 915 წ. საბუთში არაფერს ამბობს.

მდაბიო ხალხი, გლებკაცობა, ყოველთვის უფრო კონსერვატიული მიმართულებისა იყო. საუწმუნოებისა და სამღვდლოების შიში და გავლენა მუდამ ძლიერი და თითქმის რომ განუსაზღვრელი იყო. თუ ამისდა მიუხედავად ცურბერდელებმა საეპისკოპოზო საყდარსა და მონასტერზე თავდასხმა გაბედეს, ეს იმ გარემოების ცხადი მაჩვენებელია, რომ ამ საეკლესიო ყმების მოთმინების ფიალა აივსო და დამოკიდებულება ბატონებსა და ყმებს შორის უაღრესად გამწვავებული უნდა ყოფილიყოს. თავდასხმის დროს ჩადენილი აღვირწახსნილი მრისხანება, მონასტრის ქონების გაცარცვა და განსაკუთრებით ბერების დახოცვა ნათლად ამტკიცებს, რომ გლებთა გაბოროტებას საზღვარი აღარა ჰქონდა, აზვირთებული ვნებათა ღელვის გამო შურისძიების თავშეუკავებელი წყურვილითა სძგერდა მათი გული და გონიერების ყური უკვე დახშული ჰქონდათ. მაშინ ხალხს მონაზონი ხომ ქრისტეს სახის მოსავად მიაჩნდა და მის არამცთუ მოკვლას, შეურაცყოფასაც-კი მძიმე და მიუტევებელ ცოდვად სთვლიდა, და, თუ თავდასხმელნი ამასაც არ მოერიდნენ, ესეც რასაკვირველია გლებთა გაბოროტების განუსაზღვრელობის დამამტკიცებელია.

სმბატ სივნიეთის მთავარმა (*Սիւնեաց իշխան*) რომ ეს ამბავი შეიტყო, თავის მოვალეობად დაისახა ამ საქმეში თითონაც ჩარეულიყო და აწიოკებულ-დაზარალებული საეპისკოპოზო საყდრისა და მონასტრისათვის მხარი დაეჭირა და მწყემსმთავრის შელახული პატივისცემა და გავლენა აღედგინა. ჰოჰანეს ეპისკოპოზისავე სიტყვით, განრისხებულმა სმბატმა, თავისი მამაცი გულისა და დიდი რწმენისაებრ ბოროტმოქმედებზე ლომივით მყვირალმა, ყველანი აქეთ-იქით გაფანტა, ხოლო ეკლესია და გადაჩენილი სამონასტრო ძობა მწარე შევიწროებისაგან დაიხსნა და თვით აღვილი ეპისკოპოზს ჩააბარა¹.

¹) «Ըստ քաջ սրտին և անծայրս հաւատոյն՝ իբր և զառիւծ մրմուռակ ի վերայ չարացն, ցան և ցիր կապոյց զամենեանս... զերծուցեալ հանգոյց զսուրբ Նշանս և զեկեղեցիքս, և զմեզ հանս յանդարր ի դառն նեղութենէ, և աւանդեաց ի ձեռս մեր զսեղին» (იქვე, ემინ. 181—182, ლუკ. 248—249).

მაშასადამე, სმბატ სივნიელთა მთავარს ცურბერდის მცხოვრებნი აქეთ-იქით გაურეკია და გაუფანტია, თვით სოფელი-კი, მიწასთან გასწორებული და განადგურებული, მიმძლავრებული ეპისკოპოზისა და მონასტრისათვის გადაუცია, ეხლა-კი უკვე სრულ საკუთრებად. ადვილი წარმოსადგენელია, რომ, თუმცა ამის შესახებ სივნიეთის მღვდელმთავარი სდუმს. მაგრამ ცურბერდელ გლეხკაცებს ძვირად დაუჯდებოდათ ეს აყრა-გაფანტვა და არა ერთი და ორი შესწირავდა თავის სიცოცხლეს იმ მონაზონთა სისხლისათვის, რომელიც მათ ტათევზე თავდასხმის დროს დაანთხიეს!.. ეს ამბავი 915 წ. მომხდარა.

ამგვარად სივნიეთის ეპისკოპოზმა და მონასტერმა თავის დიდი ხნის წადილს შიადწიეს, ცურბერდელნი აყრილი და გაფანტული იყვნენ. სმბატ მთავრის ბრძანების თანახმად ამ ადგილას მოსახლეობა სამარადისოდ გაუქვაცივრებული და მოსპობილი უნდა ყოფილიყო. აქ დასახლების უფლება არავის ჰქონდა და მისი დაშენება სასტიკად იყო აკრძალული. უფრო მეტი სიმტკიცისა და უქცევლობისათვის ჰოჰანეს ეპისკოპოზმა 915 წ. სიგელში შემდეგი წყევლა-კრულვა შეიტანა ამ განკარგულების დარღვევისათვის¹: ვინც ჩვენ ბრძანებას წინააღმდეგება და ცურბერდის კვლავ აღდგენა-დაშენებას გაბედავს და ამით ეკლესიის დევნას ხელშეუწყობს, ის წყეულ-შეჩვენებული იყოს ყოველად მპყრობელი ღვთისაგან, შვილნი მისნი მიეცნენ მოსასრველად და სახსენებელი მისი აღიხოცოსო.

ჰოჰანეს ეპისკოპოზი მარტო ცურბერდელთა აყრა-გადასახლებით არ დაკმაყოფილებულა, არამედ იმავე დროს თურმე დანარჩენ მახლობელ სოფლების უსიამოვნო მეზობლობის თავითგან მოშორება ჰსურდა. სხვათა შორის, ს. ტაშალეკიც ამოუღია სივნიეთის მამათმთავარს ნიშანში. ის არაფერსა ზოგავდა, რომ ტაშალეკელნი თავიანთ ფუძითგან აეყარა და სხვაგან გადაესახლებინა, რომ მათი მიწაწყალი მონასტერს რგებოდა სრულ საკუთრებად. მაგრამ ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაუ-

¹) «სიკე ხქტ იპ ჩრამანიჩი მხრეჩ ჩაკლანაკი ს ანიხილ ემირ 'ჩ თორე ხეხეხელთა ს კამ კამი დთილ ჟარე რხრე ანილანხე ს ჯხნილქჩინ სორჩილ ს კრქჩინ ჩაკლანამი კთილწანხე თორე ხეხეხელთა' აქნაქჩაჩინ 'ნეაქხალ ხეჩეჩ ქსათობოქ ამინსაკაქ... ს ხეჩეჩინ ორქეჩე 'ჩ აათაკლან ს კაქქე ჯხხეჩე ანილნ 'ჩორა» (იქვე, ემინ. 182, ლუკ. 249—250).

არა. იმისდა მიუხედავად, რომ ტამალეკელნიც მტრობდნ თავიანთ სულიერსა და ხორციელ ბატონს და მონასტერს სიცოცხლეს უმწარებდნ, მათი მამაპაპეული ადგილითგან დაძვრა მაინც ვერას გზით ვერ მოახერხა (იხ. იაკობ ეპისკ. სიგ., გვინ. 198 და ლუკ. 254)¹.

საყურადღებოა, რომ ვერც სიგელში უხვად შეტანილ საშინელ წყევლა-კრულვას უზრუნველუყვია სივნიეთის ეპისკოპოზი და მონასტერი უსიამოვნობისაგან, და ამ აყრით არ დამთავრებულა ბატონ-ყმათა შორის ატეხილი დაუნდობელი ბრძოლა. ხანგრძლივმა დრომაც ვერ დააშოშმინა და დააცხრო აბოზოქრებული სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული ვნებათა ღელვა და დაუძინებელი მტრები ვერ შეარიგა. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც საეპისკოპოზო საყდარი თავისუფალი იყო და ეკლესიას მზრუნველი პატრონი და მწყემსმთავარი არ ჰყავდა, ამ გარდამავალ მდგომარეობაში ბუნებრივი საქმეთა არევ-დარევით უსარგებლიათ ცურბერდითგან გარეკილ გლებეკაცებს და ისევ თავიანთ ნასოფლარსა და მამაპაპეულ სამშობლოში დაბრუნებულან. აიღეს და ისევ ისე დაეპატრონენ წინანდებურად ამ ადგილს და კვლავ სოფელი გააშენეს (*վերստին շինեցին*). საკმარისი იყო ცურში მოსახლეობა გაჩენილიყო, რომ ეპისკოპოზ-მონასტერსა და გლებებს შორის უსიამოვნობა და ურთიერთისადმი დაუნდობელი მტრობაც ისევ განახლებულიყო. მაგრამ ეხლა უკვე მეტი დაუნდობლობითა და სისწრაფით მიმდინარეობდა აგრარული ბრძოლის კვლავ აღგზნებული ცეცხლის კოცონი. ვერც სივნიეთის საეპისკოპოზო საყდარზე ახლად დასმულმა მღვდელმთავარმა ჰაკობმა შესძლო თავის მოქმედებისთვის სწორი გეზის აჩვენა და ჩამოვარდნილი მტრობის ჩაქრობა. პირიქით, ჰაკობ ეპისკოპოზი თავის სამწყსოს ყჩებისათვის ჰოჰანესზე უფრო მკაცრი მებატონე გამოდგა. ის დანარჩენი მეზობელი სოფლების მცხოვრებთა აყრა-გადასახლებასაც ცდილობდა. ს. აველადაშტიც საეპისკოპოზო საყდარსა და მონასტერს მტრობდა. ისიც თავისი საკუთრების შესანარჩუნებლად იბრძოდა. მაგრამ 930 წ. ახლო ხანებში სივნიეთის მამათმთავარმა, თითონ რომ აველადაშტელებთან ვერა გააწყო რა სივნიელთა მთავარს მიჰმართა და და მისი დახმარებით თავის წადილს მიიღწია. მთავარმა მცხოვრებნი

¹) *ԳՏամալէքս, որ բազում նեղութիւն էին հասուցեալ տանս, և տեանս Յովհաննիսի ջանացեալ էր և չէր կարացեալ թափել:*

აველადაშტითგან განდევნა, ეს აჯანყების ბუდე დაანგრია, და გაანადგურა და მიწასთან გაასწორა, თვით ნასოფლარი-კი ეპისკოპოზსა და მონასტერს გადასცა სრულ საკუთრებად. აქაც საშინელ წყევლა-კრულვით აღსავსე სათანადო სიგელს უნდა საზულამოდ უკაცრიელი დაეტოვებინა აველადაშტი და მისი კვლავ გაშენების ფიქრიც-კი დაეშლევინებინა (იქვე, ემინ. 188, ლუკ. 257¹).

აველადაშტელებზე გამარჯვებით გათამამებულმა თუ კვლავ მეფეთავართა დახმარების მოიმედემ ჰაკობ ეპისკოპოზმა ტამალეკელთა აყრაც სცადა. ჰოპანეს ეპისკოპოზის ცდის უნაყოფოებას ჰაკობი სრულებით არ შეუფიქრიანებია. მაგრამ, როგორც ეტყობა, პირდაპირი გზით და საკუთარი ძალით ვერც მან მოახერხა ტამალეკელთა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა. ნებაყოფლობით გლეხებს თავიანთ მამაპაპეულის მონასტრისათვის დათმობა არ უნდოდათ, ძალით-კი მარტო მას ტამალეკელთა აყრა არ შეეძლო. ისინიც სხვებივით მიწისა და მამულის მესაკუთრენი იყვნენ (*ჩაკერხსათქერ*) და მკვიდრნი მცხოვრებნი. რაკი სხვაფრივ ვერაფერი გააწყო, ჰაკობ ეპისკოპოზმა ფულის საშუალებით სცადა და მოახერხა კიდევ თავის სასარგებლოდ საქმის მოტრიალება. მან აიღო და 1000 დრაჰკანი მიარძვა საფასურად სივნიელთა მთავარს ს მ ბ ა ტ ს და დედოფალს ს ო ფ ი ო ს. მათ ამის სამაგიეროდ ტამალეკელნი თავიანთ მკვიდრი, მამაპაპეული მიწაწყლითგან აპყარეს და გაუკაცრიელბელი ნასოფლარი ჰაკობ ეპისკოპოზსა და მონასტერს გადასცეს. სივნიეთის მწყემსმთავარმა, რომ მის წინანდელ პატრონებს უკან დაბრუნება და კვლავ დასახლება აღარ შესძლებოდათ, ამ ადგილას ეკლესია ააგო და ბერთათვის უდაბნოდ აქცია. საშინელი წყევლა-

1) *«მკჳამ ქამანსაქი ალაღთქან ოგნ, არ ჩანდჳქ ქანხენს კაქერ 'ქ ქერაქ ოსოქნ, არ მღხრდღაღთნ კიჯნს, . . . ქ ჳერ ხლოღაქ მარდჳქ, ორდ მადოპ ობქრე დორბქრნ ს კილიქ ნხვიღქჩინს რასოღსანქჩნ ხეღარენ ს აქლ ჳრქსაქ ოსამანსაგნ: მკჳამ ქამ ქანდრქ ხაქისქ იაქოან ქიქქსანსაგნ ოქრნხაგ ს რამან ორხაქ ' როქაბთქან ორარ ვაროან, ჳანდხაქ ალხრხაგ ვაქათამქ რანოგ ნიგქნ ს ჩინსაქიქ ორარ ს ვათხქრნ ოსამან ოქლ ოხაქ რასანხაგ ხქხღხეღოქნ, ს მხბამქბ ს ანაღქნ ჳქ ქიღქ ქასქხაგ, ვქ მქ ოდ აქლ ქიქსოგქ ანდქ რასქიქ კოქ ქინოღქჩინს ორხსქ:»*

კრულის დართვა მაინც საჭიროდ სცნო ჰაკობმა, რომ ტამალეკის დასახლება არავის ფიქრად არ მოსვლოდა, მთელი ეს ამბავი თვით ჰაკობ ეპისკოპოსსა აქვს მოაზრობილი თავისს სათანადო სიგელში (იქვე, ემინ. 198, ლუკ. 271—272)¹.

ასეთი გამარჯვების შემდგომ ჰაკობი, რასაკვირველია, ცურბერდელთა ც თვითნებობასა და ჯიუტობას არ აპატიებდა. ის მათ გაძევებისთვის ცდილობდა. ამიტომაც არის რომ ცურბერდელთ თავიანთ დაუძინებელ მოსისხლე მტრად სწორედ ჰაკობ ეპისკოპოსი მიაჩნდათ. რათგან ამ გახურებულ ბრძოლაში მშვიდობიანობისა და სიყვარულის მოციქული ან მტრობის გამანელვებელი შუამავალი არსაითგან ჩანდა და გლეხებს თავანთ მოსარჩლე და შემარიგებელი არ ეგულვებოდათ, ისევ თავისი საკუთარი ქკუთა და ძაღლონით მოუხდათ ამ რთული და გამოუვალი მდგომარეობათგან გამოსავალის შოძებნა. მათ ვნებათაღელვით გახელვებულ თავს-კი შეთქმულებისა და შურისძიების მეტი ვერათფერი მოუგონია. მათ კვლავ მონასტერზე თავდასხპითა და განადგურებით დაუწყვიათ ჯავრის ამოყრა. ხოლო როდესაც ჰაკობ ეპისკოპოსი ერთს, ბაღად წოდებულს, თემში წასული უკან ბრუნდებოდა, აღბათ საიდუმლო შეზრახებისა და დადგენილების თანახმად ამ შემთხვევით უსარგებლიათ, რომ თავიანთი უღმობელი მწყემსმთავარი და ბატონი წუთისოფელს გამოვსალმებინათ. ამ გადაწყვეტილების ასასრულვებლად ცურბერდელნი სივნიეთის ეპისკოპოსს გზაში ჩასათრებიან, უღარღვლად შინ მომავალს სამალავითგან წამოცევენულნი უეცრად თავს დასხმიან და იქვე მოუკლავთ (იქვე, ემინ. 183, ლუკ. 250)².

1) «სკაჲ იამ ბხიჩნ ვჩრ ჭ თქრ მსკორაჲ სჩინხაჲ ხაქსიოჲსი. რა-
 ვად ჭანჩი ს აქსათოღქხამარ ქაქხეჩ ვნამაღქსა, არ რადოღამ ნუღღქხან
 ჭჩნ ზათოღეხაჲ თანსა, ს თხლინ მადწანსიჩაჲ ჭანაღეხაჲ ჭრ ს ჯერ კართ-
 ვხაჲ ქაქხეჩ: სჩრე ნწანაღანღეხაჲ მხრ ნრამანაღეხაჲ თქრ მამათ ს
 შაქჩა თიქჩნ აიჩნ ღნეღნაჲ ნაღარ ეანხკანჩ ს ხთოღნ 'ჩ
 აოღრე ნუგანსა... ს მხე აოღარ ს ხკხეჩეჩ ჯჩნხეგაჲ ს მჩათნა-
 რან ზათოთთხეგაჲ: სჩრე არ ვაჲს თხეგა, არ მხე მხე ჭანქღქა-
 ქაქხაჲ: სმე ს ვნაქრენათქრან ზანხაჲ ს ანაყოთ ზათოთთხაჲ, ს
 მთაბეჲ "ღ ვათ 'ჩ ზაქრენათქრან თაჲ, კამ კანამარე მარე 'ჩ სწა
 რწა-
 კხეღღეგანს, ... ნეღქხაჲ ხეჩეჩ»:

2) «... სჩრქჩნ აღხეჩეჩნ ვქანან: სღ ხაქსიოჲსან თქრ მსკორ ხრქხაჲ
 ჭრ 'ჩ ჩაღა ს ვარბხაჲ ვაქრ ანთი. ჩსქ ჯნაღაროჲან აჩნ ვაღათ იანხაჲ
 ვღანაყარან, არ ანგანს ღნე ჩაღნ მარეჲ' კარხან 'ჩ ქხრეჲ ს აყანჩნ
 ვხაქსიოჲსანა»:

ჰაკობ ეპისკოპოზის მოადგილეს გრიგოლ ეპისკოპოზს ისევ მეფე-მთავრებისათვის მიუმართავს და დახმარება და მოძალადეებისაგან დაცვა უთხოვნია. მეფე ვასაკსა და ერისთავთა ერისთავს სევადსაც სივნიელთა ეპისკოპოზის თხოვნა აუსრულებიათ და ცურის ციხეცა და სოფელიც ისევ გაუნადგურებიათ, მკვიდრნი-კი ამოუხროციათ (იქვე, ემინ. 183, ლუკ. 251: *იძინაქიყ საათაქნეან, აქსაქანეან, ლირანს ქსანს ანაირქნილქნან: ჩასქ 'ჩ ქამანსაქქ მხრილმ ზრამაქეყჩს ალხრქქ ქათაქქქ*). ასეთი საშინელი უბედურებით დამთავრდა ეს ბრძოლა ორთავე მოპირდაპირე მხარესთვის: გლეხთა მიწაწყლის დასაკუთრების მოსურნე მძლავრმა ეპისკოპოზებმა და ბერებმა თავიანთი სიცოცხლე შესწირეს მსხვერპლად, ყმებმა ამასთანავე მთელი თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება და კეთილდღეობაც.

აი ყველა ის, რის გამორკვევაც შეიძლება სივნიეთის საეპისკოპოზოს მეზობელ სოფლების საწინააღმდეგოდ მოწყობილი ბრძოლისა და ამ სამწყსოში არსებული ბატონყმური ურთიერთობის შესახებ. სამწუხაროდ სტ. ორბელიანს დანარჩენი სოფლების შესახებ არც ცნობები აქვს მოყვანილი, არც თვით საბუთი შეუწინია შთამამავლობისათვის. მაგრამ ისეც, რაც ამ ისტორიკოსს აქვს შეტანილი თავის საგულისხმო თხზულებაში, საკმაოდ ნათელსა ჰყენს და მკაფიო სურათს გვაძლევს სივნიეთის ეპისკოპოზის როგორც ეკონომიური და სამეურნეო პოლიტიკისა და მოღვაწეობის, ისევე იმ დამოკუდებულების შესახებ, რომელიც მას სხვა წოდებებთან, განსაკუთრებით კი საეკლესიო ყმებთანა ჰქონდა. საბუთებიდან ამოღებული ცნობებით დავრწმუნდით, რომ ბატონყმური ურთიერთობა მეზობლებთან მაინც მეტად გამწვავებული ყოფილა და მოპირდაპირეთა მხრივ თითქმის 30 წლის განმავლობაში დაუნდი ბელი, გამანადგურებელი ბრძოლა სწარმოებდა. რასაკვირველია, როგორც ამ ბრძოლის თანამედროვე სივნიეთის ეპისკოპოზები, ისევე თვით ისტორიკოსი სტ. ორბელიანი მელანსა და სიტყვებს არ ზოგავდნენ, რომ მებრძოლი მდაბიო ხალხი და გლეხები თავზე ხელადებულ ყაჩაღებად და ავაზაკებად წარმოედგინათ საბუთებისა და ისტორიის მკითხველებისათვის. მათი სოფლები ავაზაკების საბუღარია, თვით გლეხკაცები უქრთონი და ბარბაროსები, ყოველივე ადამიანური თვისებებს მოკლებული მხეცის ბუნებისა და ხასიათისანი ყოფი-

ლან. მაგრამ განა დასაჯერებელია, რომ სწორედ საეპისკოპოზო ტახტის მეზობლად მდებარე სოფლები გამომდგარიყვნენ ავაზაკებადა და წარმართებად. მაშ სადღა იყო ამ მწყემსმთავრებისა და მათი საყდრის განმანათლებელი და განმასპეტაკებელი გავლენა. რა დასაჯერებელია, რომ რამდენიმე მეზობელ სოფელს უმიზვნოდ ეკლესიისა და ეპისკოპოზის მტრობა დაეწყო და ისე გათამამებულ-გაბოროტებულყო, რომ მამათმთავრის მკვლელობის წინაშეც-კი არ შემდგარყო, თუ ამ ბრძოლასა და მტრობას ღრმა საფუძველი არ ჰქონდა და მდაბიო ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხებოდა? საბუთებზე დამყარებული ზემოყვანილი საქმის ნამდვილი ვითარების ანალიზი, ვგონებ, უნდა ცხად-ჰყოყდეს, რომ აქ ჩვენ ავაზაკებთანა და გაუსწორებელ ბოროტმოქმედებთან-კი არა გვაქვს საქმე, არამედ ბატონთაგან ყმათა საკუთრების ხელში ჩადების საწინააღმდეგოდ მოწყობილ გლახთა მოძრაობასთან. პატარაა ეს სურათი, რომელიც ჩვენ მე-X ს. დამდეგის სომხეთის სოციალური ცხოვრებითგან გვეშლება, მაგრამ ამით მას თავისი დიდი მნიშვნელობა, რასაკვირველია, ოდნავადაც არ ეკარგება.

